ოქმი №7

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 14 ივნისს.

სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დამთავრდა 11:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, ი. კალანდარიშვილი, შ. კოკაია, ი. ცხვიტავა, გ. წურწუმია, კ. ტორჩინავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: მ. ჯანაშია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის სახელით 2023 წელს დადებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0). სენაკი სმუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის სახელით 2023 წელს დადებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის სახელით 2023 წელს დადებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ი. კალანდარიშვილმა, მ. ფირცხალავამ, გ. რობაქიძემ, ი. ქარდავამ.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის სახელით 2023 წელს დადებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა მიღებულ იქნა ცნობის სახით.

2. ეთხოვოს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი ხურცია